

მოსწავლის  ბიბლიოთეკა

ჰარიეტ ბიჩერ სტოუ

ბიძია თომას ქოხი



თარგმნა მისეილ კლიმიაშვილმა
ილუსტრატორი ნათია კვარაცხელია



გააკურსულაქაურის
გამომცემლობა

შინაარსი

1. საუბარი შელბის სასადილოში.....	5
2. ელიზა და ჯორჯი	14
3. ჯორჯი გაიქცა	18
4. ბიძია თომას ქოხში.....	23
5. ელიზა გარბის შელბის სახლიდან	28
6. მღელვარება შელბის ბინაზე ელიზას გაქცევის შემდეგ	37
7. ჰელის უშედეგო დევნა	41
8. გულკეთილი ხალხი.....	53
9. ბიძია თომა ტოვებს თავის ქოხს.....	67
10. სასტუმროში.....	76
11. შემთხვევა გემზე	86
12. შეხვედრა მშვიდობიან ოჯახში.....	98
13. ევა და ბიძია თომა.....	108
14. სენკლერი და ოფელია.....	114
15. საკუთარ თავზე ლაპარაკი.....	128
16. ელიზასა და ჯორჯის გაქცევა კანადაში.....	139
17. ბიძია თომა და მამიდა ოფელია შეუდგნენ თავიანთ საქმეს.....	157
18. ტოპსი.....	178
19. ხლოას სიხარული	190
20. ევა.....	197

21. ჰენრი.....	204
22. მამისა და შვილის საუბარი	209
23. ევას სიკვდილი.....	219
24. თავისუფლება ვერ მიიღო.....	232
25. შეუბრალებელი	242
26. მონათა სავაჭრო.....	248
27. ისევ მონად.....	255
28. ახალი ბინა	258
29. სამუშაოზე მომხდარი ამბავი	264
30. თომას ავადმყოფობა.....	271
31. კანადაში	278
32. მკვლევლობის აცილება	284
33. გაქცევა.....	289
34. ცემა	300
35. თომას სიკვდილი	304
36. კასი და ემელინა	309
37. ერთმანეთი ნახეს.....	315
38. თავისუფლების მიმნიჭებელი.....	320

საუბარი შელბის სასაღილოში

თებერვლის ცივი საღამო იყო. ამერიკაში, კენტუკის შტატის ერთ პატარა ქალაქში, მდიდარი მემამულის სახლში სასაღილო მაგიდას ორი კაცი უჯდა. სადილი გაეთავებინათ და ახლა ღვინოს მიირთმევდნენ, თან საქმეზე ლაპარაკობდნენ. ერთი მათგანი არც მიხრა-მოხრით, არც ჩაცმულობით მეზატონეს არ ჰგავდა; ტლანქი ტანი და უხეში სახე ჰქონდა; კოტიტა თითებზე ბეჭდები აეჩონჩხლა. უგემოვნოდ ეცვა. სახე კმაყოფილებით უღიმოდა, ცდილობდა, დიდკაცურად დაეჭირა თავი, მაგრამ სასაცილო მეტიჩარას უფრო ჰგავდა. მასპინძელ შელბის კი ნამდვილი ბატონის შესახედაობა და მიხრა-მოხრა ჰქონდა.

– აი, ამნაირად გადავიხდი თქვენს ვალს, – დაამთავრა ბატონმა შელბიმ ლაპარაკი.

– მე ხელს არ მომცემს ეგ პირობები, – მიუგო მას უხეში სახის კაცმა.

– გამიგონეთ, ჰელი, – თქვა შელბიმ, – თომა არაჩვეულებრივი ადამიანია, ღირს ამ ფასად. პატიოსანი, შრომისმოყვარე და აზრიანი მუშაა, მთელ ჩემს მეურნეობას ის უძღვება.

– მჯერა. იმდენად იქნება პატიოსანი, რამდენადაც შავკანიანს მოეხერხება პატიოსნება, – თქვა ჰელიმ და ჭიქა ღვინით აივსო.

– არა, ნამდვილად პატიოსანი, კეთილი და გონიერი ადა-

მიანია. მე თომას ყველაფერში ვენდობი. ბევრჯერ ჰქონია მას ხელში ჩემი ფული, რამდენჯერ დამიტოვებია იმის ამა-რა სახლი, საქონელი, ცხენები. თუ მოისურვებდა, გაქცევაც შეეძლო, მაგრამ ასეთი შემთხვევით არასოდეს უსარგებლია და ჩემთვის არ უღალატია. შარშან ცინცინატში გავგზავნე. იქ ფული მქონდა ასაღები, ხუთასი დოლარი. ვილაც გაიძვე-რები თურმე მის გაბრიყვებას ცდილობდნენ, ურჩევდნენ, ფული გაეტაცა და კანადაში გაქცეულიყო. მაგრამ თომამ ეს არ იკადრა. გაქნილ მრჩევლებს თურმე ასე უპასუხა: კაცი მენდო და მე კი ვუღალატო, ეგ როგორი ნამუსი იქნებო. აი, როგორი კაცია თომა. სიმართლე გითხრათ, მეძნელება მისი მოშორება, მაგრამ, რა ვქნა, მეტი გზა არა მაქვს. უნდა მენდოთ და თომა მთელი ვალის სანაცვლოდ აიყვანოთ.

– სინდისისა რა მოგახსენოთ! – თქვა ჰელიმ ღრეჭით, – სინდისი იმდენი მაქვს, რამდენიც საჭიროა ვაჭრისთვის. მზად ვარ, დაგიტმოთ, მაგრამ თქვენ ძალიან ბევრს მთხო-ვთ თომაში.

– მაშ, თქვენ როგორ გსურთ, ჰელი? – შეეკითხა შელბი.

– იქნებ პატარა ბიჭი ან გოგო გყავდეთ და თომას დაუ-მატოთ.

– მეტი არავინ მყავს. უკიდურესი გაჭირვება რომ არ დამდგომოდა, ვერც მაგას გავიმეტებდი. მონების გაყიდვა მემძიმება.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ხუთი წლის შავგვრემა-ნი კვარტერონი* ბავშვი შემოვიდა. შავი კულულები ამშვე-ნებდა იმის მრგვალ პირისახეს. ხშირი წამწამების ქვეშ მკ-ვირცხლი, კუნაპეტივით შავი, კეთილი თვალები უელავდა. ბავშვი ცნობისმოყვარეობით ათვალეიერებდა ოთახს. იმის

* თეთრკანიანისა და მეტისის შვილი (მეტისი – შერეული, მაგ., თეთრკანია-ნისა და წითელკანიანის შეუღლების შედეგად დაბადებული).

შავ, ლამაზ, მხიარულ სახეს ძალიან უხდებოდა კოსტად შეკერილი ჭრელზოლიანი ტანისამოსი. ბიჭუნას თამამად ეჭირა თავი. ეტყობოდა, ბატონის ალერსს შეჩვეული იყო.

– გამარჯობა, ჰარი! მოდი ჩემთან, – დაუძახა ბავშვს შელბიმ. ბიჭუნა მიუახლოვდა. ბატონმა ხუჭუჭა თმაზე ხელი გადაუსვა, – აბა, ერთი სტუმარს შენი ცეკვა და სიმღერა ვაჩვენოთ.

ბავშვმა თხოვნა აღარ გაამეორებინა: სუფთა, წკრიალა ხმით შემოსძახა სიმღერა და თან ჩამოუარა.


– ყოჩაღ, ბიჭო! – უთხრა ჰელიმ და ფორთოხლის ნაჭერი დაუგდო.

– აბა, ახლა ბიძია ქეჯოს გააჯავრე: როგორ აითრევს ხოლმე წელს, როცა ქარები აეშლება.

ბავშვი სასაცილოდ დაიღრიჯა, თეძო აითრია, ბატონის ყავარჯენს დაეყრდნო და კოჭლობით დაიწყო ხანხალი. სახეზე ვითომ ტკივილებისაგან გამონვეული მნუხარება დაეტყო; წამდაუნუმ მოხუცივით იფურთხებოდა და ტუჩებს სახელოთი ინმენდდა. შელბი და ჰელი სიცილს ველარ იკავებდნენ.

– ყოჩაღ, ბიჭო! – თქვა ჰელიმ, – კარგი გაიზრდები. აი, მე რა მოვიფიქრე, – მიუბრუნდა ის შელბის და მხარზე ხელი დაჰკრა, – ეგ ბავშვი თომას დაამატეთ და ამით გავათავოთ საქმე.

ამ დროს სასადილო ოთახში ახალგაზრდა კვარტერონი ქალი შემოვიდა. ყველა შეატყობდა, რომ ქალი ამ ბავშვის დედა იყო. მასაც მშვენიერი, დიდი, შავი თვალები, გრძელი, ხშირი წამწამები და ხუჭუჭა თმა ჰქონდა. კაბაში კოსტად იყო გამონაკვეთული. ქალს სახეზე აღმურმა გადაჰკრა, როცა შეამჩნია, რომ უცხო კაცი მას მოურიდებლად შეჰყურებდა.



– რა გინდა, ელიზა? – ჰკითხა შელბიმ, როცა შენიშნა, რომ ქალს რაღაცის თქმა უნდოდა.

– ბატონო, ჰარის წასაყვანად გეახელით.

ბავშვი დედას შემოეხვია და ნაბობები ტკბილეული აჩვენა.

– ნაიყვანე, – დართო ნება შელბიმ.

ქალმა ბავშვს ხელი მოჰკიდა და ოთახიდან გაიყვანა.

– დალახვროს ღმერთმა! – წამოიძახა ჰელიმ აღტაცებით, – ძალიან საქონელია! მაგ გოგოში დიდ ფულს მოგცემენ ახალ ორლენში, თუ გაყიდვას მოისურვებთ. ისეთებში აძლევენ ათას დოლარს, ამის აჩრდილებიც რომ არ არიან.

– სულაც არ მინდა, ეს ქალი გასამდიდრებლად გამოვიყენო, – უპასუხა შელბიმ, ახალი ბოთლი გახსნა და სტუმარს ღვინო შესთავაზა. ამით სურდა, ლაპარაკის თემა შეეცვალა.

– მშვენიერი ღვინოა, – თქვა ჰელიმ, როცა დააგემოვნა, მერე შელბისაკენ გადაიხარა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა, – ბრძანეთ, რას აფასებთ ამ გოგოს?

– გოგო გასაყიდი არ გახლავს, ჩემი ცოლი მაგ გოგოს არ მოიშორებს, მაგის ნონა ოქროც რომ მისცეთ.

– ქალები ყოველთვის ასე მსჯელობენ, – თქვა ჰელიმ, – არ იციან ფულის ყადრი. აუხსენით, რამდენ ძვირფას სამკაულს, ტანსაცმელსა და ქალისათვის საჭირო სხვა ნივთს შეიძენს იმ ფულით და მაშინ მასე აღარ ილაპარაკებს.

– ბატონო ჰელი, გიმეორებთ, რომ მაგ გოგოს გაყიდვას გულშიც არ გავივლებ. ვთქვი და გავათავე.

– მაშ, ბავშვი მომყიდეთ, – არ ეშვებოდა ვაჭარი, – ეს ხომ შესაძლებელია?

– ვერ გამიგია, რად გინდათ ასეთი პატარა?

– ერთი ნაცნობი მყავს, ბავშვებით ვაჭრობს: ყიდულობს და სამხრეთის ბაზრებში ჰყიდის. ბავშვებს მდიდრები ყიდულობენ ხელზე მოსამსახურედ და კარგ ფასსაც იძლევიან, ამ ბიჭმა კი, სხვათა შორის, სიმღერაც იცის და მასხრობაც.

– მე ამ ბავშვის გაყიდვა არ შემიძლია, – წარმოთქვა შელბიმ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, – მეტისმეტი გულქვაობა იქნება, დედას შვილი მკერდიდან მოჰგლიჯო და გაუყიდო.

– რას ბრძანებთ, თქვენს დღეგრძელობას! ეგ სადაური მსჯელობაა! მაგრამ, ერთი მხრივ, მართალი ბრძანდებით. დედაკაცების ამბავი მეც კარგად ვიცი. საშინლად მეჯავრება, ბლავილს რომ მოჰყვებიან ხოლმე. ყოველთვის ვცდილობ, ასეთი უსიამოვნო შემთხვევა ავიცილო. მაგრამ ამჯერად შეიძლება საქმე ასე მოენყოს: ბავშვის დედა ორიოდ დღით ან ერთი კვირით სადმე გაგზავნეთ და ამასობაში მე ბავშვს უდავიდარაბოდ წავიყვან. დედა რომ დაბრუნდება, ყველაფერი გათავებული იქნება. თქვენი მეუღლე საყურეებს, კაბას ან სხვა რამეს აჩუქებს და ისიც ყველაფერს დაივიწყებს, საჩუქარს გულს გადააყოლებს.

– არა მგონია.

– რას ბრძანებთ, ბატონო, ზანგის ქალები ჩვენს ქალებს ხომ არ გვანან! გულახდილად მოგახსენებთ, – განაგრძო ჰელიმ, – ზოგიერთები ზანგებით ვაჭრობას ადამიანის დამამცირებელ საქმედ თვლიან, მე კი ამ ხელობაში სასირცხვილოს ვერაფერს ვხედავ. თუმცა, ზოგიერთი გულქვა ვაჭარი მოურიდებლად და ურცხვად აცილებს დედას შვილს და იმის წივილ-კივილს ყურადღებას არ აქცევს. ძალიან კარგად ვიცი, რომ ასეთი საქციელით მხოლოდ საქმეს წავახდენ. გულდაკოდილი დედა პატრონს აღარაფერში გამოადგება: მუშაობას ველარ მოახერხებს. ორლენში ერთ ლამაზ დედაკაცს ვიცნობდი (ვაჭრებმა დალუპეს საბრალო ქალი იმით, რომ მოურიდებლად მოჰგლიჯეს გულიდან შვილი. ბავშვის მყიდველმა დედის ყიდვა არ ისურვა. სანამ დედას ბავშვი ხელში ეჭირა, გულში ჩაკრული ჰყავდა, დადიოდა და რალაცას ბუტბუტებდა გადარეულივით. მოგონებაც კი მიმძიმს...). ტანში ჟრუანტელი დამივლის ხოლმე, როცა ამ ამბავს გავიხსენებ. ბავშვი წაართვეს და დედა დაამწყვდიეს. ქალი ჭკუაზე შეიშალა. ერთ კვირას იომა, გონს ველარ მოვიდა და მოკვდა. ათასი დოლარი ტყუილუბრალოდ დაიკარგა. ყოველ საქმეს ცოდნა უნდა, მონებით ვაჭრობასაც. ვაჭარი ნაყიდ მონებს ფაქიზად უნდა ეპყრობოდეს, ეს უფრო სახიეროა ყოველთვის, გამოცდილებით ვიცი, – თავისი მჭევრმეტყველებით კმაყოფილი ჰელიმ სავარძლის ზურგს მიეყუდა. თავისი თავი ამ წამს უთუოდ მართლა კეთილი მოღვაწე ეგონა. კაცს ეგონებოდა, ეს საკითხი მას მართლა აინტერესებსო.

შეღბი ჩაფიქრებული იჯდა და ფორთოხალს ფცქვნიდა.

ჰელიმ კი განაგრძობდა:

– მართალია, თავის ქება არ ვარგა, მაგრამ სიმართლე მაინც უნდა ითქვას. ყველამ იცის, რომ ბაზარში გასაყი-

დად ჩემისთანა მოვლილი და შენახული საქონელი არავის გაჰყავს, მაძღრები და ჩასუქებულები არიან. იშვიათად მომკვდომია გზაში კაცი. იცი, რატომ მიდის ასე კარგად ჩემი საქმე? იმიტომ, ბატონო ჩემო, რომ მე კარგად ვეპყრობი მონებს. დიახ, სათნოებაა ჩემი მოღვაწეობის მთავარი საფუძველი.

შელები თავს უხერხულად გრძნობდა. არ იცოდა, რა ეთქვა ამ ენააქავებული ადამიანისთვის. მან მხოლოდ ანგარიშიუცემლად წაილულლულა:

– ნუთუ მართლა ეგრე გაქვთ საქმე?

– სხვა ვაჭრები დამცინიან, – განაგრძო კვეხნით ჰელიმ, – ჩემი აზრები არავის მოსწონს, მაგრამ მე ასე მწამს და საქმეც კარგად მიმყავს. დიახ, უნდა ვთქვა, რომ არასოდეს მინანია.

მოლაპარაკეს მოეწონა თავისი ენაწყლიანობა და კმაყოფილმა ჩაიცინა. ჰელის მსჯელობა სათნოებასა და კაცთმოყვარეობაზე იმდენად შეუსაბამო და სასაცილო იყო, რომ აღელვებულმა შელებიმ თავი ველარ შეიკავა და ზიზლის გამოსახატავად გესლიანად გაიცინა. მასპინძლის სიცილმა ჰელი გაამხნევა.

– მე ყოველთვის ვცდილობ, უსიამოვნება ავიცილო. ეჭვს გარეშეა, ძნელია დედა-შვილის დაშორება, მაგრამ ყოველთვის მოხერხებულად ვანყო ხოლმე საქმეს. ზანგის ქალი ჩვენი ქალივით სათუთი არ არის; თუკი იგი პატარაობიდანვეა შეჩვეული თავის მდგომარეობას, შვილის მოშორებას ადვილად იტანს, აღარ ოცნებობს და ბედს ადვილად ურიგდება.

– ვეჭვობ, რომ ჩემი მონები ასეთი მორჩილები აღმოჩნდნენ, – თქვა შელებიმ.

– შესაძლოა. თქვენ ალბათ მონებს ანებივრებთ. გაგიბედავთ და მოგახსენებთ, რომ მათთვის ცუდი სამსახური

გაგინევიათ. მონას, რომელიც ნივთივით ერთი პატრონი-დან მეორის ხელში გადადის, ცუდი დღე მოელის, თუ გა-ნებზრებულია. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ყველას თავისი აზრი შეუმცდარი ჰგონია. მეც მასე ვარ: მგონია, რომ ჩემს მონებს ძალიან კარგად ვეპყრობი.

– დიდი ბედნიერებაა, როცა კაცი თავისი თავით კმაყოფილია, – წარმოთქვა შელბიმ და მხრები აიჩეჩა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

– მაშ, რას იტყვით ბავშვის შესახებ? – ჰკითხა კვლავ ჰელიმ.

– დრო მომეცით, მოვიფიქრო და ჩემს ცოლს მოველაპა-რაკო. მანამდე კი, თუ გსურთ, რომ საქმე მართლაც ჩუმად გაკეთდეს, ამაზე ჩემს მონებთან კრინტი არ დაძრათ, თო-რემ უბედურება დატრიალდება.

– რას ბრძანებთ, განა არ ვიცი? მხოლოდ გთხოვთ, საქმე დააჩქაროთ, თორემ წასვლა მიგვიანდება.

– შემოიარეთ სალამოს ექვსიდან შვიდ საათამდე.

ჰელი გამოეთხოვა მასპინძელს და წავიდა.

– ოჰ, რა სიამოვნებით გადავუძახებდი კიბიდან ამ არა-მზადას! – ჩაილაპარაკა ბრაზმორეულმა შელბიმ, როცა ჰელი კიბეზე ჩადიოდა, – რა უტიფარია! იცის, რომ მის ხელ-ში ვარ და ამით სარგებლობს! მაგრამ რა წყალში ჩავვარ-დე, არ ვიცი! სხვა დროს რომ თომას შემვაჭრებოდა ვინმე, საკადრის პასუხს გავცემდი, ვაგრძნობინებდი, რომ ჩემი მოსამსახურე პირუტყვი არ არის, რომ გავყიდო! ახლა კი ისეთი გასაჭირი მაქვს, რომ აღარ ვიცი, როგორ დავაღწიო თავი საფრთხეს... მაგრამ ბავშვი?! ჩემი ცოლი ერთ ამბავს ატეხს! მართალია, თომას გაყიდვაც ძალიან გააბრაზებს, მაგრამ ბავშვის გაყიდვაზე სულ თავს მოიკლავს. ოჰ, ეს წყეული ვალები!

მებატონე შელბი ცუდი კაცი არ იყო, უფრო კეთილ და მონყალე ადამიანად ჩაითვლებოდა. იმის სახლში მონები თავისუფლად ცხოვრობდნენ. მაგრამ ბოლო დროს საქმეები აენუნა და ვალის აღება დასჭირდა. ჰელიმ ხელთ იგდო შელბის თამასუქები* და ახლა სულს უხუთავდა. ცდილობდა, ისინი კარგად გაენაღებინა. ჰელის წასვლის შემდეგ შელბის ნაღველი შემოაწვა. იცოდა, მის მეუღლეს მონების გაყიდვა ძალიან ეწყინებოდა და ეს ამბავი მოსვენებას უკარგავდა.

* ფასიანი ქალაღი, დოკუმენტი, რომლითაც, მისი გამცემი პირი იღებს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა.

ელიზა და ჭორჭი

ელიზა რომ სასადილო ოთახში ბავშვის გამოსაყვანად შედიოდა, ყური მოჰკრა, რომ ვილაცის გაყიდვაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ვერ გაარჩია, ვის შესახებ ლაპარაკობდნენ. როცა ბავშვი ოთახიდან გამოიყვანა, სურდა, ლაპარაკისათვის ყური დაეგდო, მაგრამ ამ დროს ქალბატონმა დაუძახა და იქით გაექანა: „ნუთუ ჩემ ჰარის უპირებენ გაყიდვას?“ – გაიფიქრა ელიზამ და მთელი მისი არსება შიშმა შეიპყრო. ისე მაგრად მოჰხვია შვილს ხელები და გულში ჩაიკრა, რომ ბავშვმა გაკვირვებით შეხედა დედას.

– რა დაგემართა? ავად ხომ არ ხარ? – შეეკითხა ქალბატონი ელიზას, როცა იგი ფერმიხდილი დაინახა. ელიზა გაბრუებულივით ტრიალებდა ოთახში და ვერაფერს ახერხებდა. დაეჯახა პირსაბანს, ხელსაქმის მაგიდა წააქცია, ქალბატონს ფარჩის კაბის მაგიერ საღამური პერანგი მიართვა.

ქალბატონის შეკითხვაზე ელიზას ცრემლი მოერია.

– ქალბატონო, – თქვა მან ტირილით, – სასადილო ოთახში ყური მოვკარი ბატონისა და ვაჭრის ლაპარაკს.

– მერე რა იყო?

– ნუთუ ბატონი გაყიდვას უპირებს ჩემს ჰარის? – თავი ვედარ შეიკავა, სავარძელში ჩაიკეცა და აქვითინდა.

– ეგ რამ გაფიქრებინა?! განა შენი ბატონი თავის დღეში რომელიმე მსახურს გაყიდის? მას არაფერი ესაქმება მონე-